198/01 № 686 92/99



# სამშობლო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 18 დამატების № 2

კვირა, 22 თებერვალი 1915 წ.



სამშობლო—დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია. ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა.
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.



აკაკი და პატარა ფატი*)
(სურ. 1)



აკაკი და პატარა ფატი
(სურ. 2)

## გადარჯულებული.

ნეტავ ეს ქალი ვინ არის
და რომელ ეროვნებისა?
სამშობლოს დამწუნებელი,
მორწმუნე სხვების მცნებისა?...
ამბობენ, ქართველი იყო
მაგისი დედაც, მამაცა,
მაგრამ არ მჯერა!.. ღვთის მადლსა,
ნუ მეუბნები... დამაცა!..
სად გამოზრდილა, რომ ფიქრობს
ია და ვარდის ფენასა,
მით რომ უარყოფს სამშობლოს,
ივიწყებს დედა-ენასა!..
სკვითია! და სკვითს გაჭყევბა,
რაღა თქმა უნდა მაგასა?!.
და ბედაურის სანაცვლოთ
ჯორს დასჯამს ვირის ბაგასა!..
აი, რა ვუთხრა მე მაგის
უკუღმართს შემქმნელ-მშობელსა,
ჩვენი სამშობლოს გამომხვრელს
და სკვითის მახარობელსა!..

აკაკი.

განისვენე მშვიდათ, დიდო მოამაგევ საქართველოისავ! მშობელი მხარე არ დაივიწყებს შენს ჭირნახულობას.



*) მოთხრობა: „პატარა ფატი“ იხილეთ „სამშობლოს“ მე-7 № ში



იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გიორგი.
(მისი ავათმყოფობის გამო)

# მესამეს.

ნუღარ ჰკითხავ ჩემს მეგობარს,
სიყრმით ჩემთან გაფურჩქვნილსა,
ტრფობის სხივით სახე სავსეს —
გაზაფხულის ჰანგზე შლილსა;
ნუღარ ჰკითხავ ნურც მთის ნაკადს,
ტკბილ კისკასის მოყვარულსა,
ნურც მთის ნიავს, ფრთა ფარფატას,
მთის ნაზ კორდით მოარულსა, —
თუ რა ღმერთებს, რა რწმენასა
გუნდრუკს უკმევს ჩემი გული,
თუ რა არის მის სიღრმეში
გაუცნობი, დაფარული.
ჩემი გულის საიდუმლოს
გეტყვის მხოლოდ ვარდი ჰქკნარი,
როს ტყის მგოსნის მას, ცოცხალ-მკვდარს,
თავს დასტირის ხმა ნარნარი,
ან მიჯნური, ცივ საფლავზე
სატრფოს ხსოვნით ანატირი,
როცა იგი გულამოსკვნით
მოსთქვამს ბედით განაწირი.
ლაღ ბუნებას, თვალწარმტაცსა,
ჩემი ლტოლვა აღარ ჰკითხო:
ჩაგრულთ სახეს ჩააკვირდი,
თუ გსურს იგი წაიკითხო!..

ა. ფანცულაია.

# მუშას.

სადაც ძალა იყიდება, —
არსებობის დიდი სახე, —
შეგამჩნიე შენ იქ იყავ,
ქარხნის კარებს გადასძახე:

„შენ უსულო მანქანა ხარ,
უსულ-გულო, სახით მკვდარი..
მე? — მონა ვარ! მაგრამ შენებრ,
მაინც არ ვარ საზიზღარი.

რა ვუყოთ რომ შენით ვცხოვრობ,
განა მე თვით არ გაგჭედე!?
მე შეგქმენი და მარჯვენა
შენ საძირკველს მივაჭედე.

როს გუგუნობ, შფოთავ, დრტვინავ
თავს გადგივარ, შე ულმერთო!
მშრომელ ხელით გწმენდავ, გივლი,
მსურს სიცოცხლე შეგიერთო.

დაკორძებულ ხელის გულით
საძირკველი მოგიმზადე,
ტანჯვის ცრემლში ბევრჯელ გბანე,
სასოებით გამოგზარდე.



აკაკის ცხედრის შეხ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ განა ძალმიძს
არ გეტრფოდე, არ მიყვარდე?
მაგრამ გეტყვი: მაინც ძძულხარ,
საძულველი - დაიბადე
—
რატომ?! მესმის შენს გუგუნში
მეფიცები, რომ. არ გჯერა.
მაშ მითხარი; რამდენ ჩემს ძმას
დაუმოკლე ბედის წერა?
—
შენს ბორბლებში რამდენი გყავს
დაფლეთილი, დაგლეჯილი??
რამდენს — მითხარ უსირცხვილოვ!
შენ ჩაასვი ბასრი კბილი?
—
არა... არა... ვფიცავ მძულხარ...
თუმცა კი ვარ შენი მონა!!
ყველას გებრძვით... ბოროტნი ხართ
შენც და ვინც შენ მოგიგონა“.
—
ეს უთხარი, მაგრამ შემდეგ?
შემდეგ ჩაჰქრა წყრომა გულის...
გაუღიმე ქარხნის კედლებს
და კვლავ გახდი მონა ფულის.

კოლხიდელი



ქუთაისის ქართველ-კათოლიკეთა მოძღვარი დონ-დამიანე საააკაშვილი



პოდპორუჩიკი ონისიფორე ზაქარიასძე დოლიძე
(დაჭრილია გერმანიის სამზღვარზე, ისრუვეცში)



დგურ შორაპანში.

*
* *

ულმო კერპისა წინაშე
სალოცავ-საწირავათა
შენ ხორცსა გთხოვენ ბედშავო,
მამა აბრამის კრავათა!..
ისაკის საშველ-სახსნელათ
საბედისწეროთ ჩართული—
ყენოთ მდგომი გიხილეს
რქით ბურდში გადახლართული!...
იეგოვა კი მრისხანე
აბრამს შვილს სთხოვდა ზვარაკათ,
რომ რისხვით მოვლინებოდა
ცით სათქმელ იგავ-არაკათ!..
წინ აგიდევნეს, საბრალოვ,
საკვამლე ნიავ-ქარათა
და მადლობის წილ ეს მსხვერპლი
შენ ჩაგითვალეს არათა!..
„ზოგისა ბამბა ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო!“—
და შენდა მოსახსენებლათ—
სთქვეს თურმე—ესეც კმარაო!..
ისაკი ახლაც ბევრია,
მამა აბრამის კრავიცა!..
თქვენც კარგათ მოგეხსენებათ
მათი კარგიც და ავიცა!..

დ. თომაშვილი

# შეხ-ჰამად-აბრეკი.

## თავი მეორე. *)

ვეებერთელა ხეებით შემოსილ მთის ჩრდილოეთით უზარმაზარი გამოქვაბული იყო. ეს გამოქვაბული გძელ დარბაზს წარმოადგენდა. ერთს ადგას, კედელზე, ტახტი იყო მიკეთებული, რომელზეც აბრეკები ნაბადს გადააფენდენ ხოლმე და ღამეს ათევდენ. კედლებზე ძველი იარაღები ეკიდა. ერთს კუთხეში დიდი ყუთი იდგა, სადაც ხან საჭმელს და ხან ნადავლს ინახავდენ.

სარკმელის ნაცვლად კედელი ორ ადგას რგვლათ გამოენგრიათ. დარბაზის შუა ერთი მომსხო ქვა იდვა, აქ ხშირათ ცეცხლს აჩაღებდენ.

გამოქვაბულის წინ ვიწრო ბილიკი მიყვებოდა, რომლის დაღმართ თვალ-უწვდენელ უფრსკულს პირი გველეშაპივით დაეღო.

რაღაც საშინელს, სატანიურ სურათს წარმოადგენდა ეს ადგილი. მხოლოდ ხანდახან ირემი, ან გზა დაბნეული, ტან-სუბუქი ქურციკი თუ გაირბენდა ხოლმე, თორემ დანარჩენ დროს არწივისა და ქორ-მიმინოს მეტი, არავითარი სულდგმული აქ ფეხს ვერ მოიდგამდა.

ეკალი და სალი კლდე, სალი კლდე და ეკალი, აი, მუდმივი მოსახურავი ამ ადგილისა.

მხოლოდ აქა-იქ ვეებერთელა ფიჭვების დასახიჩრებული ტანი მოსჩანდა.

ზამთარში თოვლის ზვინი აზიანებდა აქაურ ხეებს და ზაფხულში წვიმა გამოუთხრიდა ხოლმე ძირს ვეებერთელა ქვის ლოდს და ჯოჯოხეთური ხმაურობით ეხეთქებოდა იგი პატარა გორაკებს, დიდს ხეებს, ჩირგვ-ბუჩქნარებს; ერთს სტეხდა, აზიანებდა, მეორეს კი მუსრს ავლებდა.

ასეთ ადგილას ნადირიც კი შიშით გაირბენდა, მაგრამ აბრეკებისათვის ეს ადგილი სწორეთ ამიტომ იყო უშიშარი

ამ გამოქვაბულში აბრეკები ხანდიხან თავს მოიყრიდენ, საუბრობდენ, ერთმანეთს უზიარებდენ თავის შთაბეჭდილებებს; მიუხედავათ ადგილის ასეთი მდებარეობისა, აბრეკები მაინც ძილს არ ენდობოდენ და ღამე ერთი აბრეკი თოფით ხელში მუდამ კარებთან იდგა ხოლმე.

თვითონ აბრეკებს ერთმანეთთან არავითარი გრძნობა არ აერთებდა, გარდა უბრალო ხელობის თანაგრძნობისა. აბრეკებში მეგობრული განწყობილება ძვირათ მეარდებოდა. ხშირათ, დაცემის დროს, ისინი თავს მოიყრიდენ, მაგრამ შემდეგ ისევ გაიფანტებოდენ ხოლმე.

ისეც ხთებოდა, თუმცა იშვიათად, უბრალო გამოლაპარაკების შემდეგ, ერთი აბრეკი მეორეს ისე აუხირდებოდა, რომ მათ დავაში სხვებიც ჩაერეოდენ ხოლმე და მაშინ სისხლის მღვრელი შეტაკება ხდებოდა მათ შორის. მუდამ შიში ცხოვრება, განსაცდელისათვის მუდამ თვალში ცქერა ართმევდა მათ იმ ადამიანურ გრძნობას, რომელიც სიცოცხლეს ჰქმნის საზოგადოებაში. მიუხედავათ სასტიკი ცხოვრებისა, მათ მაინც უხაროდათ, როდესაც რომელიმე ჭაბუკი აბრეკათ წასვლას განიზრახავდა. შეხ-ჰამადის აბრეკათ წასვლის ამბავმაც მათ ნამდვილი ნეტარება მოჰგვარა. ამიტომ შეიტყეს ის დღე, როდესაც შეხ-ჰამადი თემს ეთხოვებოდა და თავისი ხმაურობით შეხ-ჰამადს უკანასკნელი წუთების მწუხარება გაუადვილეს.

საღამოს აბრეკები გამოქვაბულში გვიან დაბრუნდნენ. შეხ-ჰამადი ძალიან დაღლილი იყო, და ამიტომ ადრე დაიძინეს.

გათენდა მეორე დილა. ჯერ მზე ამოსული არ იქნებოდა, როდესაც ერთმა აბრეკმა თავი წამოჰყო და ამხანაგებს გაღვიძება დაუწყო.

ეს აბრეკი იყო ომარე. ომარე ძველი, უშიშარი აბრეკი იყო. შავი ჭრილობისაგან გადარჩენილი სასტიკი, მხნე; იგი შეტაკების დროს ყოველთვის წინ მიიწევდა. ამხანაგები ომარეს დიდი პატივით ეპყრობოდენ და უფროსათ სთვლიდენ. ძველ აბრეკს სახე ჭრილობით ჰქონდა დასერილი და მარჯვენა ყურის ნახევარი ერთი უსწორო ომის დროს დაჰკარგოდა, მარცხენა ყურზე კი რკინის შავი რგოლი — საყურე — ეკიდა.

როგორც რკინის პირობებში მყოფი და მუდამ ბუნების მაცქერალი, ის თავიდან ფეხებამდი ერთ მთლიან პიროვნებას წარმოადგენდა. ერთხელვე არჩეულს, დამწიფებულსა და ასასრულებლათ მიჩნეულ აზრს ის არასოდეს არ უღალატებდა და მას თავსაც მთლათ შესწირავდა.

— აბა, წამოდექით, ჩქარა! — დაიძახა ომარემ, როცა შეამჩნია, რომ ზოგიერთი ძილს ადვილათ ვერ ცილდებოდა; მალე ყველა წამოდგა. აჩქარებით ისაუზმეს და შემდეგ, ომარეს მოწოდებით, შეხ-ჰამადის დაფიცებას შეუდგენ.

— არაფერია მალე შეეჩვევი ჩვენს ცხოვრებას. — უთხრა შეხ-ჰამადს ერთმა აბრეკმა. მართალია, ხშირათ ყურთან ყაზახის ტყვია ზუზუნით გაირბენს, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისუფალი გაქვს, ვიდრე სული გიდგას!...

— მე, როდესაც პირველათ აბრეკი გავხდი, ძალიან მეშინოდა, მაგრამ მალე ყაზახებთან შეტაკება მომიხდა. ერთ დღეს, ჩვენი მთხრობელი მოვიდა და გვითხრა: ფოსტა მიდისო. ჩვენ მოვემზადეთ, დავეტით, ოთხი ყაზახი დავჭერით, ერთი მოვკალით და ფოსტა კი ხელში ვიგდეთ.

— შემდეგ ვილაპარაკოთ ამაზე. სთქვა ომარემ. ახლა, შეხ-ჰამად, მომიახლოვდი და ეგ ფიცი გაიმეორე. ომარემ აღთქმის სიტყვები ნელის ხმით წარმოსთქვა; შეხ-ჰამადმა მოწიწებით გაიმეორა:

— ვფიცავ ალლახს, ვიდრე სული მიდგია, აბრეკობის ერთგული ვიყო: არც მშობლების, არც მეგობრებისა და არც დიაცის სიყვარული არ წამართმევს გონებას, რომ ჩემს მოვალეობას ვუღალატო.

მაგარი ვიქნები, ვით კაჟი; შეუპოვარი, ვით ნადირზე მიმავალი ვეფხვი; ამაყი, შეუდგარი და მიუკარებელი.

თუ ჩემში ოდესმე ისეთი გრძნობა დაიბადა, რომელიც ხმალთოფზე ფიქრს დამიშლის, დეე, ტყვიამ გული გამიგმიროს, როგორც უღირს აბრეკს, როგორც ფიცის გამტეხს. ფიცის შემდეგ, ერთმა აბრეკმა ცეცხლი გააჩაღა, ომარემ შეხ-ჰამადს თოფი გამოართვა, აკოცა და ამხანაგს გადასცა. როდესაც თოფი ისევ ომარეს დაუბრუნდა, მან იგი ცეცხლში ჩასდვა.

არ უღალატო პატრონს... ცეცხლი იყოს ამის თავდები — სთქვა ომარემ და თოფი შეხ-ჰამადს გადასცა,

შემდეგ ხმალი და ხანჯალი დალოცეს, რის შემდეგაც შეხ-ჰამადი გადაეხვია თავის ამხანაგებს. ამ დროს ერთმა აბრეკმა თოფი მომართა, ისროლა, თითქოს, მუნჯ ბუნებასაც კი ახარა ახალი აბრეკის შეძენა.

ამ დღიდან შეხ-ჰამადი გაყვა აბრეკების სახიფათო და მასთან სასტიკ ცხოვრებას.

ჯაჯუ ჯორჯიკია.

(შემდეგი იქნება)